

სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ-არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
პროფესორ გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია

გორის სასწავლო უნივერსიტეტი და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი **2011 წლის 22 დეკემბერს** გორის სასწავლო უნივერსიტეტში ატარებს პროფესორ გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციას.

კონფერენცია შესაძლებლობას აძლევს მეცნიერ-მკვლევრებს, პროფესორ-მასწავლებლებს, გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მეცნიერული კვლევის შედეგები, წარმოადგინონ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საკუთარი ხედვა.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლებს.

კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები უნდა ეხებოდეს ენათმეცნიერების სფეროს, მის აქტუალურ საკითხებს. შეგიძლიათ წარმოადგინოთ მოგონებანი გენადი ბურჭულაძეზე.

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა დადგენილი ვადის ამოწურვამდე ელექტრონული ფოსტის მისამართზე g.kazishvili@gmail.com უნდა წარმოადგინონ:

ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა (აპლიკაციის ფორმა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ინსტიტუტის ვებ-გვერდიდან);

ბ) სამეცნიერო ნაშრომი/მოგონებანი გენადი ბურჭულაძეზე.

საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით შემდეგი მოთხოვნების დაცვით: ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ ან უცხოურ (ინგლისურ, რუსულ ან გერმანულ) ენაზე Microsoft Word-ის დოკუმენტის სახით; ქართულენოვანი ნაშრომისათვის სავალდებულოა Sylfaen შრიფტის, ხოლო უცხოურენოვანი ნაშრომისათვის Times New Roman შრიფტის გამოყენება; შრიფტის ზომა 11 (გარდა სათაურისა, შრიფტის ზომა სათაურისთვის 12), ინტერვალი 1,5; გვერდის პარამეტრები: დაშორება ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან 2 სმ.; ნაშრომს თან უნდა ახლდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და რეზიუმე ინგლისურ ენაზე. ნაშრომის მოცულობა გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 10 ნაბეჭდ გვერდს.

ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაურის ქვეშ ზედა მარჯვენა კუთხეში თანამდებობისა და ორგანიზაციის მითითებით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალები გორის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოიცემა შრომათა კრებულის სახით.

საყურადღებო თარიღები:

30 ნოემბერი, 2011 წ. 18 სთ. – აპლიკაციებისა და სამეცნიერო ნაშრომების წარმოდგენის ბოლო ვადა;

9 დეკემბერი, 2011 წ. – კონფერენციაში მონაწილე ავტორთა დასახელება;

22 დეკემბერი, 2011 წ. – კონფერენცია

გისურვებთ წარმატებას!